საგანმანათლებლო პროგრამების
აკრედიტაციის საბჭო

14/09/2026

MES 1 26 0001150317

გადაწყვეტილება

ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის უნივერსიტეტის „ქართული ლიტერატურის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის არაგეგმიურ მონიტორინგთან დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის შესახებ

1.გადაწყვეტილებისმიღებისსამართლებრივისაფუძვლები

1.1. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების“ აკრედიტაციის დებულების 31-ე მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად, აკრედიტაციის პირობების შესრულების შემოწმება ხორციელდება გეგმიური და/ან არაგეგმიური მონიტორინგის გზით.

1.2. აკრედიტაციის დებულების 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად,გეგმიური მონიტორინგი ხორციელდება საბჭოს შუამდგომლობით და/ან ცენტრის ინიციატივით.

1.3. აკრედიტაციის დებულების 31-ე მუხლის 25-ე პუნქტის თანახმად, იმ შემთხვევაში თუ, აკრედიტაციის პირობების შესრულების შემოწმების შედეგად დადგინდება, რომ დაწესებულების მიერ ყველა რეკომენდაცია შესრულებულია, საბჭო იღებს გადაწყვეტილებას მონიტორინგთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის თაობაზე.

2.აღწერილობითინაწილიდადასაბუთება

2.1. ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის უნივერსიტეტის „ქართული ლიტერატურის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს (შემდგომში - აკრედიტაციის საბჭო) 2023 წლის 20 აპრილის №432251 გადაწყვეტილებით მიენიჭა აკრედიტაცია 2 წელიწადში მონიტორინგის განხორციელების პირობით;

2.2. "აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შექმნისა და ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერიძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის "ქართული ფილოლოგიის" საბაკალავრო, "ქართული ლიტერატურის" სამაგისტრო და "ქართველური ენათმეცნიერების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის პირობების შესრულების გეგმური მონიტორინგის შესახებ" ცენტრის დირექტორის 2025 წლის 05 ნოემბრის №1538725 ბრძანების შესაბამისად საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელდა გეგმიური მონიტორინგი;
2.3. ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის უნივერსიტეტის "ქართული ლიტერატურის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის გეგმიური მონიტორინგის შედეგები აკრედიტაციის საბჭომ განიხილა 2026 წლის 27 იანვარს. აკრედიტაციის საბჭომ დაწესებულებას განუსაზღვრა 60 კალენდარული დღის ვადა ხარვეზების გამოსასწორებლად. (ოქმი: №138473, 10/02/2026);
2.4. "აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შექმნისა და ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სასწავლო უნივერსიტეტის „ქართული ფილოლოგიის" საბაკალავრო და „ქართული ლიტერატურის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამებზე არაგეგმიური მონიტორინგის განხორციელების შესახებ" ცენტრის დირექტორის 2026 წლის 24 აპრილის №481000 ბრძანებისშესაბამისად აკრედიტაციის ექპერტთა ჯგუფმა შეაფასა საგანმანათლებლო პროგრამა;
2.5. საბჭომ შეისწავლა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიცია;
2.6. საბჭომ გადაწყვეტილება მიიღო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, ასევე, სხდომაზე დაინტერესებული მხარის ზეპირი პოზიციის მოსმენის საფუძველზე.

3.სარეზოლუციონაწილი

აკრედიტაციის დებულების 27^2მუხლის პირველი პუნქტის, 31-ე მუხლის 25-ე პუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ „სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №233 ბრძანების მე-8 მუხლის,,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ" სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, აკრედიტაციის საბჭომ

გადაწყვიტა:

1. შეწყდეს ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის უნივერსიტეტის „ქართული ლიტერატურის" სამაგისტრო საგანმანათლებლოპროგრამის არაგეგმიურ მონიტორინგთან დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოება.
2. საგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცეს უფლება „ქართული ლიტერატურის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა განხორციელოს დანართი №1- ით განსაზღვრული მონაცემების მიხედვით;

3. ცნობილ იქნას აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის უნივერსიტეტის „ქართული ლიტერატურის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად (დანართი №2).
4. საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2026 წლის 14 სექტემბრის №1190812 სხდომის ოქმის №06 ნაწილი ცნობილ იქნას ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად (დანართი №3).
5. საბჭოს გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს 2026 წლის 14 სექტემბერს.
6. საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 180-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი N64, აღნიშნული გადაწყვეტილებისა და მისი დასაბუთებითი ნაწილების (დანართი №1, დანართი №2, დანართი №3) ოფიციალურად გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

დანართი №1

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ქართული ლიტერატურა
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	გადაწყვეტილება №432251 2023 წლის 20 აპრილი
5	საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	ქართული ლიტერატურა
6	უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მე-7
9	კვალიფიკაციის დასახელება	**I ნაწილი,** ქართული ლიტერატურის მაგისტრი. **II ნაწილი,** კვლევის მაგისტრი ქართულ ლიტერატურაში.
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0232 ლიტერატურა და ლინგვისტიკა
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	I ნაწილი - 60 II ნაწილი - 60
14	განხორციელების ადგილი	შუახევის მუნიციპალიტეტი, სოფ. ტაკიძეები, დაბა ხიჭაური
15		-

	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა - სწავლების უფლებამოსილება	
16	ამ გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი	14/09/2026
17	აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოსადგენად/მონიტორინგის განსახორციელებლად განსაზღვრული ვადა	-
18	აკრედიტაციის ვადის გასვლის თარიღი	04/04/2030

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭოს
მდივანი
კელიხაშვილი ვაჟა

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო
თავმჯდომარე
ლევან შავაძე